საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 10 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მოწერისათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 116 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 116

## ბინძური საქმე

გასაშტერებელი ჯიუტობით ცდილობენ მენშევიკები სახელი გაუტეხონ და ფასი დაუკარგონ სომხეთში შომხდარ გადატრიალებას.

სანამ დაშნაკელები ბატონობდნენ, მანამდე სომხეთი თურმე დამოუკიდებელი იყო.

ხოლო როდესაც აჯანყდა სომხეთის მშრომელი მასა, რომელიც დაშნაკელების პოლიტიკამ სასოწარკვეთილებამდე, გაღატაკებამდე და განადგურებამდე მიიყვანა და როდესაც ამ მასსამ დაამხო ანტანტის აგენტების — დაშნაკელების ძალაუფლება, მაშინ, მენშევიკების აზრით, სომხეთმა თურმე შესწყვიტა არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა თავისუფალმა სახელმწიფომ და გადიქცია რუსეთის ადმინისტრატიულ ერთეულათ.

სანამ დაშნაკელები ანტანტის პირისფარეშობას ასრულებდნენ და სომხების სიცოცხლეს და ქონებას ბითუმათ და საჭიროებით ყიდდნენ, ისინი პოულობდნენ სრულ თანაგრძნობას მენშევიკების მხრით და ეს უკანასკნელნი მზათ იყვნენ მათთვის ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ.

მაშინ დაშნაკელები ბუნებრივი და ერთგული მოკავშირეები იყვნენ მენშევიკებისათვის, მათ საერთო მიზნები და მისწრაფებები აკავშირებდა.

ახლა კი, როდესაც სომხეთმა დამარხა დაშნაკელები, მენშევიკები სიბინძურეს ასხამენ დაშნაკელების გვამს, ლანძღავენ და აგინებენ მათ როგორც მოღალატეებს, ლაქიებს და კიდევ ამაზე უარესებს.

რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ სომხეთი, დაშნაკელების დამხობით განთავისუფლდა პარიზის და ლონდონის სისხლისმსმელთა ბრჭყალებიდან.

და სწორეთ ამას ვერ აპატიებენ მენშევიკები დაშნაკელებს, რომელთაც ვერ დაამაგრეს სომხის მშრომელი ხალხი ევროპის კაპიტალის უღლის ქვეშ.

სომხეთი, რომელმაც გაწყვიტა ანტანტასთან კავშირი, სომხეთი, რომელიც შევიდა მჭიდრო კავშირში პროლეტარულ რუსეთთან, მენშევიკებისთვის მიუღებელია. ის მიუღებელია ისევე, როგორც მიუღებელია საბჭოთა აზერბაიჯანი, როგორც მიუღებელია საბჭოთა რუსეთი, და ყოველი ქვეყანა, სადაც თავისუფლათ ფრიალებს რევოლიუციის წითელი დროშა, სადაც მშრომელი მასსა თავისუფლათ ქმნის ახალ ცხოვრებას.

მენშევიკები რომ დაინტერესებული იყვნენ რევოლიუციის განვითარებაში, მუშების და გლეხების მიერ ძალა-უფლების დაპყრობაში, შრომის მტაცებლური ექსპლოატაციის ბურჟუაზიულ საფუძველთა დალუპვაში, ისინი მიესალმებოდნენ სომხეთის მშრომელი ხალხის დაშნაკელებიდან განთავისუფლებას, როგორც უდიდეს დღესასწაულს.

ეს იმათ ვერ მოიმოქმედეს და ვერც ვერასოდეს მოიმოქმედებენ. და ეს იმიტომ, რომ მათი ბურჟუაზიული არსება ვერ ურიგდება მუშათა ძალა-უფლებას, მშრომელი ხალხის ნამდვილ თავისუფლებას.

თავისუფალი საბჭოთა აზერბაიჯანი, დამოუკიდებელი საბჭოთა სომხეთი — მეტათ არახელსაყრელი მეზობლებია მენშევიკებისათვის, მეტათ ცოცხალი მაგალითია მენშევიკების საწინაამდეგოთ.

მენშევიკების მთელი საგარეო პოლიტიკა იმაზეა დამყარებული, რომ მოიპოვონ დაცვა და მფარველობა ანტანტას მხრით. მათთვის მესამე ინტერნაციონალი ყველაზე უფრო საძულველი და აუტანელი მოვლენაა.

მათი ცხოველი ოცნება ის არის, რომ მოიპოვონ მცირე ადგილი ნაციათა ლიგაში ლოიდ ჯორჯის ან მილიერანის თავმჯდომარეობის ქვეშ.

მენშევიკების მთელი საშინაო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ებრძოლონ ყოველგვარ უკმაყოფილებას, რომელიც კი მათ სამფლობელოში იჩენს თავს.

ჩვენ აღარას ვამბობთ კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ დევნაზე—ეს კანონათ არის აღიარებული.

მაგრამ გავიხსენოთ მენშევიკების დამსჯელი ექსპედიცია სამხრეთ-ოსეთში, რომელიც აღსდგა თავისი ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლათ; ოსეთის ერთი ნაწილი მთელი ქონებით გაანადგურეს, მეორე ნაწილი გადაასახლეს.

რაღა ხდება აჭარაში, რომელიც ამდენ ხანს ამაოთ უცდის რაიმე ავტონომიას? მუქარის და ხიშტების მეტი რა უნახავს აჭარას თავისი სამართლიანი მოთხოვნილებების საპასუხოთ.

„ჯერ დაწყნარება, შემდეგ რეფორმები“—აი მენშევიკების ჩვეულებრივი რეცეპტი.

რა მდგომარეობაშია, დასასრულ, ამ ჟამათ აფხაზეთი? რისთვის შესწყვიტა აფხაზეთის დელეგაციამ ყოველგვარი მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და რისთვის დასტოვა მან თბილისი პროტესტით?

მენშევიკებმა იციან, და უნდა იცოდენ, რა გამწვავებულია ურთიერთობა აფხაზეთში, სადაც მარტო სიტყვა „საქართველო“ სიძულვილს იწვევს, სადაც ყველაფერი ქართული მიაჩნიათ, როგორც საეჭვო, მტრული და ძალადობის გამომხატველი.

და ყველა ამის შემდეგ მათ ყოფნით გამბედაობა ცილი დასწამონ საბჭოთა სომხეთს, ცილი დასწამონ საბჭოთა რუსეთს, რომელსაც თავისუფლება მოაქვს ყველა დაჩაგრულ ხალხებისათვის და მზათაა უანგაროთ დაეხმაროს მათ მთელი ძალღონით. რა არის ეს თუ არა ბინძური საქმე, რომელსაც არ იკადრებს არც ერთი პარტია, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი-თავის პატივისცემა.

ეს ცილის წამება, ფაქტების ასეთი დამახინჯება ერთხელ კიდევ ზედმეტათ უხელს თვალს საქართველოს მუშებს და გლეხებს მენშევიკების ნამდვილ არსებასა და მისწრაფებებზე, ზედმეტათ უჩვენებს მათ თუ ვინ არის მათი ნამდვილი მტერი, ვინ არის მართლა მოღალატე მათი ინტერესებისა.

## ადგილობრივი პრესა

### ყველაფერი კომუნისტების ბრალია.

„ერთობა“ სერიოზნათ შეუდგა მუშამოსამსახურეების მდგომარეობაზე წერას. იკვლია, იკვლია და ბოლოს ის ამერიკა აღმოაჩინა, რომ აუტანელი შიმშილ სიცივე, საგნების ნაკლებობის ბრალიაო. მერე რით უნდა ეშველოს ამ უბედურებას? მუშებმა მეტი უნდა იმუშავონ, საქონელი დააბლომონ და კრიზისიც განელდებაო. იმას კი აღარ კითხულობს, თუ როგორ უნდა იმუშაოს მეტი კი არა, თუნდ გუშინდელი ზომით, ქანცგამოლეულმა მუშამ. როგორ უნდა იმუშაოს, როდესაც ასეთი წვა-დაგვით შექმნილი სიმდიდრის განაწილება მის ზურგს უკან ხდება, როდესაც მას სრულიათ არ ეკითხება, თუ ვის რაში მიაქვს მისი ნაოფლარი? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საჭიროა მუშათა კონტროლი იმ საგნების განაწილებაში, რომლებიც თუმც ნაკლებათ, მაგრამ მაინც მოიპოვება. ეს მოსაზრება გაზ. „ერთობას“ შიგ კაკალ გულში მოხვედრია. რასაკვირველია, მას არაფრათ ეპიტნიკება, რომ მუშებმა დაიწყონ იმის ჩხრეკა, თუ ვის რა ულუფა უწევს არსებულ წესების დროს და როგორი უნდა იყოს წესიერი განაწილება. უეჭველია, ამ კანტროლის შემოღების დღიდანვე ბევრი რკინის გზისებური პანამა გამოჩნდება მენშევიკების შესარცხვენათ და ამიტომაც გაზეთი მთელ თავის გაბოროტებას ჩვენს წინააღმდეგ მომართავს. ის სწერს:

„ჩვენი მუშების უბედურება ცუდათ განაწილებაში როდია, არამედ წარმოების დაცემაში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ იმაში, რომ საქართველო, როგორც ეკონომიურათ განუვითარებელი ქვეყანა ვერ ჰქმნის იმდენ სიმდიდრეს, რამდენიც აუცილებელია ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ვის რას უშველის **განაწილება**, როცა გასანაწილებელი ძლიერ ცოტაა“.

კანტროლი განაწილებაზე იმას უშველის, რომ შეიქნება მდგომარეობა, რომელიც მუშას აგრძნობინებს, რომ მის ნაჭირნახულევს ყვავ-ყორნები არ იტაცებენ და ხმარდება მხოლოდ მშრომელთა ბანაკს. ეს შექმნის აუცილებელ პირობას თვით წარმოების მუშათა კანტროლის დაწესებისას, მაგრამ ეს უკვე გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ წესს, როდესაც მუშები არიან გაბატონებულ საზოგადო და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში. ეს კარგათ იცის „ერთობამ“ და სწორეთ ამიტომ არ მოსწონს ასეთი ზომები. ამიტომაა, რომ მთელი მისი „კვლევა“ წარმოადგენს ერთ დაუსრულებელ ლანძღვას, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული. ყველაფერი თურმე ჩვენი ბრალია.

* * *

### შარზე არიან.

„ერთობას“ გამოაქვს არა ერთხელ გადაღეჭილი ცილისწამება ჩვენი მოღალატეობის და სხ. შესახებ და ამით ცდილობს მშიერი ხალხის გულისყური ჩვენსკენ მიაპყროს მსგავსათ იმ მეცხვარისა, რომელიც ქარბუქის დროს გუდაში ჩამწყვდეული კატის ფხაკუნით „ართობდა“ ფარეხში შემწყვდეულ ცხვრის ფარას:

„ჩვენ ქართველ ბალშევიკებს ბრალდება წავუყენეთ, რომ ისინი უცხოეთის აგენტები არიან, სხვისი ფულებით აქ ჩვენი ხალხის დამარცხებას ამზადებენ. ჩვენს მსჯელობას ვამყარებდით უტყუარ ფაქტებზე. ამაზე ბალშევიკებს პირდაპირ პასუხი უნდა გაეცათ, ან აღეარებიათ ფაქტი, ან უარეყოთ იგი. მარა ჩიხში მიმწყვდეული ბალშევიკები, რასაკვირველია, ამას ვერ შვრებიან და პასუხის მაგიერ ლობე-ყორეს ედებიან“.

„ერთობა“ თითონვე ისჭრის, თითონვე კერავს. დღიდან საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულობის დადებისა, რომელიც ჩვენს პარტიას ანიჭებდა ლეგალური არსებობის უფლებას, მენშევიკები ყელში ჩაგვფრენიან და გულწასულობამდე გაკაპასებულნი დაგვჩხავიან: თქვენ მოღალატეები ხართ, საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობთ, აჯანყებებს აწყობთ, უცხო ძალას ეძახით ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ და სხ. პასუხათ, რამდენათაც ამის თქმის და წერის ნებას მაინც გვაძლევდენ, ჩვენ აშკარათ და გულახდილათ ვაცხადებდით, რომ ვსცნობთ და ვაღიარებთ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ მენშევიკები სიტყვას შუაზე გვაწყვეტინებდნენ: სტყუით, რა დასაჯერია თქვენი სიტყვა და კვლავ ავსებდნენ ციხეებს ჩვენი თანამოაზრეებით, კვლავ ისტუმრებდნენ სხვა ქვეყნებში კომუნისტებს, თუმცა ყველამ კარგათ იცის, რომ არც აჯანყებას და არც სხვა საშინელებას ადგილი არა ქონია ამ ხნის განმავლობაში. ახლა უნდათ მორიგი ნადირობა გააჩაღონ ჩვენს პარტიაზე, უკვე შეუდგენ მასიურ დატუსაღებას და თავისი მოქმედების გასაპატიოსნებლათ ძველ ჰორებს იმეორებენ: საბუთები გვაქვს, ფაქტები ვიცითო. მენშევიკების პარტიაში ბევრი იურისტია და ნუ თუ იმდენი არ იციან, რომ ეს ფაქტები და ეს საბუთები პიროვნებათა წინააღმდეგ უნდა წამოაყენონ, ისინი საბრალდებულო სკამზე დასვან, სასამართლოს წესით გაასამართლონ და ამ გზით ეს „ფაქტები“ და „საბუთები“ ქვეყნის თვალშიაც გააფაქტონ და გაასაბუთონ. ნაცვლათ ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრს მინიჭებული აქვს უფლება სრულიათ განუკითხავათ მთელი წლით და შემდეგ კიდევ სამ წლამდე ციხეში ამოალპოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. ეს ძლიერ აადვილებს ჩვენთან ბრძოლას, მაგრამ რაღაში გეჭირებათ „ფაქტები“ და „საბუთები?“ თქვენ ისა ბრძანეთ, რომ თქვენი დღევანდელი შერყეული მდგომარეობის დროს ძლიერ გესაჭიროებათ ჩვენი „გაწმენდა.“ შარზე დგეხართ და შარით გინდათ ლელო გაიტანოთ.

## მტყუანს კარებამდე!

(დასასრული იხ. „ახ. კომ.“ № 115)

 არ შემიძლია გვერდი აუარო და მოკლეთ მაინც პირად საკითხს არ შევეხო, ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მას შემდეგ რაც უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ჩემი პირველი წერილი გამოქვეყნდა ნილაბ ახდილ „მოღვაწეებს“ მეტი არა დარჩენოდათ რა, რომ ჩემი პიროვნება და სახელი ლაფში ამოესვარათ და მით ცოტაოდენი ჩრდილი ჩემ მიერ გამოაშკარავებულ ფაქტებისთვის მიეყენებიათ. ასეც მოიქცენ. „ერთობის“ № 275 გამოდის ცენტრალური გამგეობის თანამშრომელი ვიღაც მცოდნე და აცხადებს რა, რომ ბარონი ეს არის ბ. ბიბინეიშვილიო.

ტყუილებით სავსე წერილს აცხობს, რისთვისაც მან საქვეყნოთ დაიმსახურა **ნაფიცი ცილის მწამებლის** სახელი, ვინაიდან საბუთები ხავერდის და სავარძლის შესახებ ვერ წარმოადგინა. მე საჭიროთ მიმაჩნია ერთხელ კიდევ აღვნიშნო გაზეთის ფურცლებზე, რომ **არ ყოფილა შემთხვევა ერთი მისხალი რამ გამეტანოს რწმუნებულების უნებართვოთ ან დაკლებულ ფასში**, ვღებულობდი მხოლოთ ჩემს ულუფას. შემდეგ ბ. თეკლათელმა არ დაუცადა რა ჩემს პასუხს „მცოდნეს“ მიმართ „ერთობის“ № 276 ასეთ მარგალიტებს მიძღვნის: „როგორც ქურდი სხვას ქურდობას აბრალებს“...

— „ჭრიგოებიც მოინახება, ამათ რიცხვს ეკუთვნის ბ. ბარონი და მის წერილებს ყოველივე მორალური თვისება დაკარგული აქვს“... კიკაბიძეების დამცველს მეტი არ მოეთხოვება!

„რკინისგზელის“ № 44 ვიღაც ძველი მუშა (და ალბათ ახალი ცენტრალური გამგეობის წევრი) უფრო შორს მიდის: გადმოუბეჭდია რა „მცოდნეს“ ყალბი ცნობები უმატებს: „შეიძლება ერთ ერთი მოტივი ბ. ბარონის სამსახურიდან დათხოვნისა, ეს მისი გაუმაძღრობაც და ხელების „სიგრძელეც“ იყო? ან და „ამ სინდისზე ხელ-აღებულ პიროვნების გამოსვლა“ და სხვა...*) მარა რკინისგზელთა კონფერენცია თავის მოწოდებაში („ერთობა“ № 278) ყველას ასწრებს: „სასურსათო კომიტეტიდან დათხოვნილ უვარგის მოსამსახურეს საეჭვო პირს“ ან და „თუ რა ფასი აქვს ბ. ბარონისთანა გაბოროტებულ და გათახსირებულ (ვაშა კონფერენციავ) პიროვნების ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას“...

ქუჩურ ლანძღვა-გინებას ღირსეული რკინიგზელ დემოკრატიის ულირსი წარმომადგენლებისას უყურადღებოთ ვტოვებ, მხოლოთ რაც შეეხება ჩემს უარგისობას, როგორც მოსამსახურისას ამას, რა გინდ გაბოროტებული არ იყვნენ ჩემზე ვერ დაუმოწმებს ვერც სასურსათო კომიტეტი და ვერც ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ბერეჟიანი, რომელმაც ა. წ. იანვარში მთელი კვირა მეხვეწა გადავსულიყავ ბუჰგალტრათ ცენტრალურ გამგეობაში იმავე პირობებში, როგორც სასურსათო კომიტეტში ვმსახურებდი; თუმცა ამ უკანასკნელში გაცილებით ნაკლები საქმე იყო მე მაინც არ დავთანხმდი. მე დამითხოვეს სამსახურიდან თავდაცვის ბიუროს გადაწყვეტილებით ვფიქრობ იმავე მიზეზების გამო, რისთვისაც დაითხოვეს იმდროს სამსახურიდან საუკეთესო მოსამსახურე რკ. გზ. პირველი მაღაზიის კონტროლიორი მენშევიკი გიორგობიანი (ცენტრალური გამგ. და სასურ. კომ. ს. დ. სექციის წევრიც იყო), რომელიც დარაჯათ ედგა მაღაზიის ინტერესებს და საქონლის უკანონოთ და უნორმოთ გატანის დროს ყოველთვის ხმას იმაღლებდა...

დაუდევრობის თუ სხვა „ლამაზი“ მოქმედების მოყვარულთათვის უხიფათო არ იყო ჩემი სამსახურში დატოვება... ეს მით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან რომ როგორც კი დამითხოვეს რწმუნებულმა ბოკერიამ გასცა განკარგულება, რათა გამოცხადებოდა სასურსათო კომიტეტის ყველა მოსამსახურეთ: „ვინც მისცემს რამე ცნობას ბ. ბიბილეიშვილს 24 საათში იქნება დათხოვნილი სამსახურიდან“-ო... მას შემდეგ მეტად გასაჭირი გახდა ჩემთვის რამე ცნობის მიღება იქიდან, ის კი არა, გზაში როცა ვხვდები იქაურ მოსამსახურეთ გაჩერების და დალაპარაკებისაც ეშინიათ... ხუმრობა ხომ არ არის მიუტანებენ ამბავსო ბ. ბოკერიას და 24 საათში ქუჩაში ამოაყოფინებენ თავს...

ამით აიხსნება, რომ სავსებით ვერ შევსძელი სულ ამომეწურა მათი მოქმედების უარყოფითი მხარეები...

უნდა ვაღიარო, რომ არავითარი პარტიული ანგარიშების გასწორება სახეში არ მქონია და სწორეთ ამით აიხსნება, რომ ავისტოს შუა რიცხვებში მიკლეთ ყველაფერი ეს გაუზიარე ბაკურიანში შეხვედრის დროს მიწად-მოქმედების მინისტრს ნ. გ. ხომერიკს და დამფუძნ. კრების წევრს გრ. ურატაძეს,

*) სხვათა შორის ეს ვაჟბატონი ძველი მუშის წმინდა ქურქ წამოსხმული ასეთ საზიზღარ ტყუილს კადრულობს: „მიუხედავათ იმისა, რომ ის დადხოვნილია სამსახურიდან როგორც უვარგისი მოსამსახურე დიდი ხანია, მაინც სარგებლობს რკინის გზის წიგნაკით და არა კანონიერი გზით გააქვს ნოემბერში საქონელი ე. ი. 4 თვის შემდეგ დღიდან დათხოვნისა“... ვაცხადებ ამხანაგი მუშების და ყველას საყურადღებოთ, რომ დათხოვნილათ ვითვლები 15 სექტემბრიდან და, სწორეთ 16 სექტემბერს ჩემი წიგნაკი მიუტანე და ჩავაბარე კომიტეტის ბუხჰალტერ კ. ი. ჩხენკელს. და თუ რამ აღმოჩნდება ჩაწერილი შიგ ამის შემდეგ მიწოდეთ რაც გენებოთ, თვარა და ხება მიბოძეთ მასაც უწოდო ნაფიცი ცილის მწამებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელს კიდეც ვთხოვე მოეცათ ჩემთვის საშვალება „ერთობის“ ფურცელზე ამ ფაქტების გამოქვეყნების და მართალი უნდა ითქვას შემპირდა კიდეც, თუმცა საეჭვოა „ერთობას“ დაებეჭდა ჩემი წერილი, ვინაიდან წინაალმდეგ შემთხვევაში ასეთ პოზიციას არ დაიჭერდა ამ ამბების გარო... შემდეგ ყველაფერი ეს უამბე არა ერთ გავლენიან პირს... ერთმა მათგანმა დამფ. კრების წევრმა მთხოვა კიდეც „ახ. სხივში“ მომეთავსებია. ყველა ამაების შემდეგ ახმაურებულან და მიწასთან მასწორებენ...

რაშია საქმე ბატონებო! თუ ვინმეს ცილი დავსწამე რათ სამართალში არ მიმცემს? თუ სიმართლეა, რათ სასტიკ რევიზიას არ დანიშნავენ? და განა ამის შემდეგ ვინ იქნება „თავზე ხელაღებული“ მოსამსახურე, ვინ გაბედავს კრინტის დაძვრას თუ გინდ აშკარა ბოროტმოქმედებაზე? რათ გაამართლეთ ბატონებო დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში ძველ რეჟიმში შექმნილი ხალხის თქმულება: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო!“

ბარონი.

(იგივე ბ. ე. ბიბინეიშვილი)

# რკინის გზელების საყურადღებოთ

გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებული იყო „მცოდნეს“ წერილი, რომელშიაც ის სრულიათ იზიარებს თავის თანამოაზრეების გაღმა გამოდავების ტაქტიკას და აქვეყნებს „უტყუარ“ ცნობებს იმ საქონლის შესახებ, რომელიც ამხ. ბარონს გაუტანია სხვა და სხვა დროს სასურსათო კომიტეტის საწყობებიდან. თან იწვევდა მსურველებს „უტყუარი“ ცნობების შესახებ დოკუმენტების გადასათვალიერებლათ. ამისათვის მე მომანდო რედაქციამ წავსულიყავ რკ. გზის სასურსათო კომიტეტის ბუხგალტერიაში „დოკუმენტების“ დასათვალიერებლათ. მისვლისას ვინახულე მთავარი რწმუნებული ათაბეგი და ვსთხოვე მას განკარგულება მოეხდინა, რათა ჩემთვის ეჩვენებინათ ის „უტყუარი“ დოკუმენტები, რომლებიც ღაღადებენ, რომ ამხ. ბარონმა მიიღო სასურსათო კომიტეტიდან ხავერდი და სავარძელი. ათაბეგმა, გადაავლო რა თვალი რწმუნების ქაღალდს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ვინაიდან მან კარგათ იცოდა, რომ ყოველივე ეს მტკნარი ოცნება თუ სიცრუე იყო და არავითარი დოკუმენტი მათ მოეპოვებოდათ. ამიტომ მან მთხოვა შევსულიყავ მასთან მეორე დღეს ათ საათზე და დამპირდა, რომ მოანახვინებდა დოკუმენტებს დანიშნულ დროს, მეორეს დღეს მივედი, მაგრამ ის იქ არ დამხვდა. ბევრი ლოდინის შემდეგ გადავწყვიტე, მიმემართა ამავე თხოვნით რწმუნებულ კალაძესთვის და ვაზაკიძესთვის, მაგრამ მათ ცივი უარი მითხრეს, — ეს ჩვენი საქმე არ არისო, და მთხოვეს დამეცადა ათაბეგისათვის.

ბევრი ლოდინის შემდეგ ათაბეგიც მოვიდა, მაგრამ „დოკუმენტი“ მაინც არ ჩანდა. ათაბეგმა მომმართა მე ასე: „კაცო, რას ნიშნავს ეს დაწერილმანება, რა დროს ესეთებია, როგორ ეკადრება „კომუნისტის“ რედაქციას ეს“?

მან შემდეგ ჩემთვის მოსაცემ პასუხის გამოსამუშავებლათ სასწრაფოთ გამგეობის სხდომა მოახდინა. რომელმაც გასტანა თითქმის საათ ნახევარი. სხდომის გათავების შემდეგ მე მიმიპატიჟეს ბ ნ თხილავას კაბინეტში. ათაბეგმა გამაცნო რა ბ-ნი თხილავა, დასძინა, რომ ყოველივე ცნობას მისგან მივიღებ. თხილავას მე დავუსვი იგივე ორი კითხვა: ეჩვენებინა ჩემთვის ის დოკუმენტები, რომლის ძალითაც ამხ. ბარონმა მიიღო: 1. ხავერდი და 2) „სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ძალათი წაიღო სახლში თავის დისთვის ის სავარძელი, რომელზედაც თითონ იჯდა კომიტეტში სამსახურის დროს“. პირველ კითხვაზედ მან მიპასუხა, რომ ხავერდი სასურსათო კომიტეტს არ ქონია და ბარონსაც ამიტომ ის არ მიუღიათ. ეს ცნობა „ერთობაში“ შეცდომით არის მოთავსებული, მეორე კითხვაზე მიპასუხა, რომ ბარონმა, მართალია, წაიღო სავარძელი, მაგრამ არა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, არამედ 1919 წლის ნოემბერში არა ძალით, არამედ ნებართვით, რომელზედაც მე მაქვს ხელი მოწერილიო და არც უფასოთ, არამედ ფასათ. ამ გვარათ ორივე ეს ცნობა გაზ. „ერთობაში“ შეცდომით არის მოთავსებულიო. როდესაც მე მოვთხოვე მას ქაღალდი ამ პასუხის შესაფერი, მან მიპასუხა: მე ვარ თხილავა და ვიძლევი პატიოსან სიტყვას რომ ამის შესახებ თითონ მოვათავსებ წერილს „ერთობის“ უახლოეს ნომერში, სადაც ჩემივე ხელის მოწერით უარვყოფთ „ერთობაში“ მოთავსებულ „უტყუარ“ საბუთებს.

გ. ვაკიჯვარელი.

# უსირცხვილონი

თუმცა რკინიგზის სასურსათო კომიტეტის ირგვლივ დიდი ხანია რაც გაისმის მუშებსა და მოსამსახურეებში ძლიერ ცუდი ხმები, მაგრამ დღემდის ჩვენ არ გვქონდა საშვალება შეგვემოწმებია ეს ხმები სინამდვილესთან. დღეს, როცა ამხ. ბარონმა გამოამჟღავნა ბევრი ფაქტები, როგორც სასურსათო კომიტეტის, ისე რკ. გზ. ცენტრალური გამგეობის წევრების მოქმედებიდან, რკინისგზელებს არ შეუძლიათ არ დაინტერესდენ იმ ორგანიზაციების მოქმედებით, რომელნიც მათ სათავეში უდგიათ და მათი ნდობით არიან აღჭურვილნი. მართალი გითხრათ ზოგიერთი გამოქვეყნებული ფაქტები მე გადაჭარბებულათ მიმაჩნდა. აბა ვინ იფიქრებდა იმას, რომ სასურსათო კომიტეტი, რომელიც უნდა ცდილობდეს პირველ საჭიროების სანოვაგის შეძენას და შესყიდვას რკინიგზელების თვის, რათა ისინი ცოტათი მაინც დაიფარონ სპეკულიანტების ბრჭყალებისაგან, ეს სასურსათო კომიტეტი მიყიდდა იმავე სპეკულიანტებს არამც თუ ვაგონ შაქარს, არამედ ერთ მისხალსაც! მაშინ, როცა მუშას უხდება თავის ავადმყოფ ბავშვისთვის 2 გირვანქა შაქრის მისაღებათ ექიმისაგან მოწმობის აღება, განა იფიქრებდა ვინმე, რა მოსაზრებითაც არ ყოფილიყო, სასურსათო კომიტეტი შაქარს ასი ფუთობით სპეკულიანტებს ჩაუგდებდა ხელში? ეს წარმოუდგენელი იყო.

რით იმართლა სასურსათო კომიტეტმა ამაში თავი? შაქარი თურმე მართლა გაუყიდიათ, მარა ერთი ვაგონი კი არა ნახევარი ვაგონიო, და ეს ნახევარი ვაგონი თურმე შეადგენს 800 ფუთს! ეს შაქარი რომ მუშა მოსამსახურეთ დარიგებოდათ თვითეულს წილათ ხვდებოდა არა ნაკლებ სამი გირვანქისა. ამ სამ გირვანქა შაქარში ეხლა უნდა მისცე სამი ათასი მანეთი, ე. ი. ზოგიერთ მუშამ თითქმის მთელი თვის ჯამაგირი უნდა გაიღოს. სასურსათო კომიტეტს შაქარი მიუღია მთავრობისაგან 1918 წ., ე. ი. მაშინ როცა ის თავზე საყრელი იყო და გაუყიდია კი 1920 წელში, როცა ის მისხლობით საყიდელი გახდა.

ს. კ. ბრძანებს: „შაქარი გაყიდული იყო შეჯიბრებით და მიიღო ის მან, ვინც მეტი ფასი მოგვცა“-ო. თუ მართლა შაქარი გაყიდული იყო შეჯიბრებით რათ მისცა კომიტეტმა მოსამშვალეს შაქრის გაყიდვაში 24,000 მანეთი? გაგონილა შეჯიბრების დროს მაჭანკლების დახმარება?

რა საცოდავი, უბადრუკი და უსირცხვილო პასუხია!

უფრო მეტი სათაკილოა სას. კომ. პასუხი თეთრი ფქვილის შესახებ. ფქვილი მართლა გავყიდეთ, მარა მაგიერი ვერ შევიძინეთო, იმიტომ რომ..., აქ არავითარი მიზეზის მოყვანა არ შეიძლება. ფქვილი გაყიდო მაშინ, როცა იმის მოტანის საშვალება მოისპო? თუ ორი კვირის განმავლობაში მართლა 18,000 ფუთია საჭირო (რასაკვირველია ნახევარი მიწა და ქვიშა ნარევი საჭირო იქნება) სად იყო თქვენი დემოკრატიული ტვინი, როცა არც 18,000 ფუთს ელოდით და 3,500 ფუთი ფქვილი მაინც გაყიდეთ? რა მიაწოდეთ იმ ფქვილის მაგიერ რკინისგზელებს?

უფრო უსირცხვილო ცენტრ. გამგეობის პასუხი ხბოიანი ძროხების შეძენის გამო. თუ მართლა ძროხები საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, რატომ არ გაუგია ეს არც ერთ რკინიგზელს, გარდა იმათი, რომელნიც სასურსათო კომიტეტში და ცენტრ. გამგეობაში არიან მოკალათებულნი? ამ გაყიდვაში ეს ორგანიზაციები ხომ დაინტერესებული მხარე იყო, რომელიც უნდა ცდილიყო უფრო სახეირო ფასებში გაეყიდა საქონელი? როგორ მოხდა რომ, ამ შეჯიბრებაში, ე. ი. საჯარო ვაჭრობაში, მაკე და ხბოიანი ძროხები 2000—3000 მან. ერგო გამგეობის და კომიტეტის წევრებს, მაშინ როცა თითოეული ძროხა მაშინ ფასობდა 15—25 ათასი მანეთი? (ეხლა კი ფასობს 100—150 ათასი მანეთი) მერე სად გაგონილა რომ შეჯიბრებაში ნაყიდი საქონელი ზამთარში გამყიდველს დაუტოვა სარჩენათ და გაზაფხულზე კი წაიყვანო? მე მწამს რომ შეჯიბრებას მართლა ქონია ადგილი, მარა იმაში კი არა, რომ სასურსათო კომიტეტს უფრო მეტ ფასებში და სახეიროთ გაეყიდა, არამედ იმაში თუ რომელი წევრი გამგეობისა თუ კომიტეტისა უფრო იაფათ შეიძენდა და საჯაროთ კი არა, არამედ ფარულათ, რომელიმე რწმუნებულის კაბინეთში. ნათქვამია: ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, მარა კომიტეტის და გამგეობის მოყვანილი პასუხი არამც თუ მოკლე ფეხებიანია, არამედ სულ უფეხოა.

არც მადა კლებიათ ამ მუშა-მოსამსახურეთა ჭირისუფლებს. თვითონ ფუთობით კარაქი და ყველი, ისიც ნახევარ ფასებში, მუშებს და მოსამსახურეებს კი თითო გირვანქა ორმაგ ფასებში, ისიც ათში თუ ერთს რგებია.

არც ერთი ფაქტი ამხ. ბარონის მიერ მოყვანილი არც სასურსათო კომიტეტს, არც ცენტრალურ გამგეობას და არც სარევიზიო კომისიას არ უარუყვია და ამის შემდეგ გამოსულა ვიღაც რკინისგზელი (ჟურნ. „რკინისგზელი“ № 43) და თავ გამოდებით იცავს გამგეობის წევრებს ყველა იმ ბრალდებებიდან, რომელიც უარყოფა მათ ვერ შესძლეს. ის სწერს, რომ „ცენტრალური გამგეობის წევრები მეტათ ცუდ ეკონომიურ პირობებში არიან, ისინი არ არიან უზრუნველ ყოფილნი დიეტის მხრით“ და სხ. იმ დროს როცა რკინის გზის მუშები და მოსამსახურენი მარტო ცივი ჭადით და ტალახიან პურით იკვებებიან და უქმელობით მხოლოთ ძვალი და ტყავი შერჩენიათ, ამ დროს გამგეობის წევრები ოცი გირვანქობით და ფუთობით კარაქსა და ყველს ირგებენ და კიდევ დიეტის უზრუნველ ყოფაზე ლაპარაკობენ. გამგეობის წევრები ხომ ღებულობთ გარდა ჯამაგირისა კიდევ ყოველ დღიურათ სახარჯოთ 150 მანეთს, თუ მეტს არა?

ამის შემდეგ რომელ დიეტაზე მოსთქვამთ? სასურსათო კომიტეტი არამც თუ თქვენს დიეტაზე (საჭმელ სასმელზე) ზრუნავს, არამედ თქვენი (გამგეობის წევრების) გართობაზედაც. აკი დადგა სასურსათო კომიტეტმა რამდენიმე ასი ათასათ ღირებული არღანი დიდუბის რკინის გზელების სასადილოში, რომლის ღრიალი დილიდან საღამომდის მთელი დიდუბეს აყრუებს. იქნება არღნის ჭრიალით გსურთ გააძღოთ მშიერი და დაღლილ-დაქანცული მუშა?

„გამგეობის წევრთა დავალიანება ამტკიცებს იმას, რომ ცენტრ. გამგეობის წევრები პირნათლათ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, მათი სინდისი შეუბღალავია“, უტიფრობს ბატ. რკინის გზელი.

ამის თქმა იმას ამტკიცებს, რომ ბატ. რკინისგზელს ყველაზე მეტი უნდა ქონდეს ნისიათ წაღებული და აგრეთვე იმასაც რომ სინდისი შეუბღალავი უნდა ქონდეს, ვინაიდან არ შეიძლება შეიბღალოს ის, რაც არა გაქვსთ. ბ. რკინისგზელს ბრაზი მოსდის იმაზე, რომ გამგეობის წევრებს ნისიათ უხდებათ საქონლის წაღება და არა სულ უფასოთ.

მაშინ როცა არც ერთ რკინისგზელს არ შეუძლია ერთი კაპეიკის ნისია წაიღოს, ამ დროს რკ. გზ. ბობოლებს მიაქვთ ოცი, ორმოცი ათასი მანეთის და მეტიც ნისია. და ამის შემდეგ გამოსულა ვიღა[...] ეზზმორეული ნისიითაც და უნორმოთ წ[...] ღებით და ლუღლუღებს „გამგეობ[...] წევრები პირნათლათ ასრულებენ დაკი[...] რებულ მოვალეობებს“-ო.

იმ დროს როცა დიდი უმრავლესობ[...] რკინისგზელებისა გაჭირვების გამო უ[...] ნასკნელ პერანგს ყიდის, ამ დროს მ[...] მეთაურები თავიანთ შორის ნახევარ [...] მესამედ ფასებში ინაწილებენ ძროხებ[...] ხავერდს, საკოსტუმეებს, კარაქს და რ[...] მათ მოეპრიანებათ და რამდენიც სურ[...]

რას ეუბნებით თქვენს ამრჩევლე[...] რომლის ნდობას ასე ბოროტათ იყ[...] ნებთ? ნუ თუ ფიქრობთ დემაგოგი[...] ცილის წამებით და მუქარით გახვიდე[...] ფონს?

კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს.

თქვენმა „დემოკრატიულმა“ გზამ მ[...] შები უფსკრულის პირათ მიიყვანა, [...] საც არც თქვენ უარყოფთ, მაგრამ [...] ინც არ ეხსნებით გზიდან.

სახელმწიფოს ვაშენებთო.

სახელმწიფოს კი არა საკუთარი [...] რადი ბედნიერებას აშენებთ მუშებ[...] მეთაურნო მენშევიკებო, თუ ეს ასე [...] არის რათ აყაყანდით თქვენი სისაძა[...] ლის მხილებაზე? ამხ. ბარონმა ერთი [...] ნჭი ქვა ისროლა თქვენს ჭაობში, მა[...] იქიდან ისეთი სიმყრალე ამოვარდა რ[...] ბევრი თქვენი შემყურე მუშებსაც [...] აბრუნებია პირი.

ამის შემდეგ თქვენ კიდევ შეგწევ[...] გამბედაობა მუშების წარმომადგენლ[...] ბის სახელი ატაროთ?

სინიდისიც კარგი საქონელია, ვაჟ[...] ტონებო, და ეგებ ეს საქონელი [...] ბოთ, რამდენიმე მაინც, თხილავებმ [...] ბინეტებში, ზიდოთ (ნისიათ რასაკვირ[...] ლია) თვეობით და წლობითაც, და [...] შემდეგ ეგებ მოიპოვოთ უფლება ეჩ[...] ნოთ მუშებს და მათ მოამაგეთ გამოა[...] ხადოთ თავი. მანამდის კი წყალი ექ[...] ბა შემდგარი თქვენს დემოკრატობას.

ხემაფორი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკასიიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**სინფეინერების მანიფესტაცია ვაშინგტონში**

**ვაშინგტონი**, 15 ნოემ. მცირეწლოვან ქალიშვილებმა მოახდინეს მანიფესტაცია თეთრ სახლთან. დემონსტრანტებს ქონდათ დროშები სხვადასხვა წარწერებით, რომლითაც ვილსონს უწოდებდენ ანარქისტს. მანიფესტაცია მოაწყვეს სინფეინერების მომხრე ქალებმა. ერთ ქალიშვილს ხელში ეჭირა დროშა ასეთი წარწერით: „ლოიდ ჯორჯი ანარქისტია— ვილსონი კი მისი თანამშრომელი“. მეორე დროშაზე ეწერა: „ბატონო ვილსონო, ამერიკელი ქალები მოითხოვენ თეთრ სახლში ანარქიის მოსპობას“. ცხადია, თუ რისთვის ღებულობდა მანიფესტაციაში მონაწილეობას მცირეწლოვანი ქალიშვილები. ცხადია, რომ მამაკაცებს ეშინოდათ დატუსაღების ისეთი წარწერებისათვის, სადაც პრეზიდენტს ანარქისტს უწოდებდენ. ჯერ არ არის გამორკვეული გაილაშქრებს თუ არა ფედერატიული მთავრობა ამ მანიფესტაციის წინააღმდეგ.

**„ვენიზელოსის მომხრეთა შეცდომები“.**

**სტამბოლი**, 30 ნოემბ. გაზ. „ორიენტ ნიუსი“ სწერს: „ყველას აქვს უფლება გაჰკიცხოს ვენიზელოსის მომხრენი იმისთვის, რომ მათ წარყვნეს მთელი ქვეყანა შემცდარ წინასწარმეტყველებით და ტელეგრამებით. ყოველ დღე იბეჭდება ცნობები იმის შესახებ, რომ ვენიზელოსს მხურვალე სალამით ხვდებოდენ, მას, ტრიუმფს უმართავდენ რომ, ის იმარჯვებდა. ეს იყო მჭერმეტყველების ერთგვარი ორგია.

ამ სულელურ პროპაგანდის გამო მთელი ქვეყანა შეცდომაში იქნა შეყვანილი. მოკავშირენი განცვიფრებულნი დარჩენ ყველა ამ ამბების გამო, თვით ვენიზელოსი კი მოსტყუვდა, მას არ გაუმართლდა იმედები. ვენიზელოსს ვერ გაუწიეს კარგი სამსახური თავის აგენტებმა და ვერც მის მოკავშირეებმა. მათ შექმნეს მითი იმის მაგიერ, რომ ფაქტები გამოეაშკარავებიათ.

ვენიზელოსის აგენტები ყოველთვის ილიუზიებით სცხოვრობდენ, იმის მაგიერ რომ პროპაგანდა ეწარმოებიათ გლეხებსა, ჯარის კაცებსა და საშუალო კლასებს შორის. არჩევნების დროს გამარჯვებას მოიპოვებ არა ჰიმნების გალობით, იაფ-ფასიანი დემაგოგიით და ოპონენტების შთაგონებით.

ვენიზელოსის მომხრეთა სიტყვები არჩევნების კამპანიის დროს წარმოადგენდენ მხოლოთ მჭერმეტყველურ ტირადებს, იმ დროს როდესაც ერი მოითხოვდა დარწმუნებას იმაში, რომ უსაზღვრო ომების ხანა უკვე დამთავრებულია. ის განაჩენი, რომელიც ხალხმა გამოიტანა, იყო ვენიზელოსის მომხრეთა შეცდომების შედეგი. ვენიზელოსის მომხრენი იმაში კარგავდენ დროს, რომ რაიმე ფერათ ღვალები აეხვიათ ქვეყნისთვის, როდესაც საჭირო იყო შავი მუშაობის წარმოება.

**ტრიანოვის ხელშეკრულება.**

**სტამბოლი**, 30 ნოემბ. გაზ. „ბოსფორი“ სწერს: დაბოლოს უნგრეთის ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა დაემტკიცოს ტრიანოვის ხელშეკრულება. უნგრეთი ფიქრობდა რომ მოკავშირენი არ დასთანხმდებოდენ ხელშეკრულების დამტკიცებაზე. დიდი რყევის შემდეგ უნგრეთმა დაინახა, რომ ხელშეკრულების დაუმტკიცებლობა ნიშნავს ეკონომიურ აღორძინების ხელის შეშლას. რომ ეს გააძლიერებს ხალხის გაჭირვებას. რომ ბუდაპეშტში თავიდან სწორი, ნათელი პოლიტიკა ეწარმოებიათ და რომ უნგრეთის მმართველებს ომის გამოცხადებით მძიმე მდგომარეობაში არ ჩაეგდო ეს ქვეყანა, ის (უნგრეთი) მალე შესძლებდა ეკონომიურ რღვევისაგან თავის დაღწევას. ამის მაგიერ უნგრეთის სატახტო ქალაქი დაკავებულ იქნა რუმინიის ჯარით და საჭირო შეიქნა მოკავშირეთა ჩარევა, რათა რუმინიის ჯარებს დაეტოვებიათ ეს ქალაქი.

თუ რომ ტრიანოვის ხელშეკრულების პირობები მძიმეა უნგრეთისთვის, ეს იმიტომ, რომ მეზობელი სახელმწიფონი ა[...] ინდობენ მას. არ შეიძლება პრეტენზი[...] ბის გამოცხადება იმიტომ, რომ მეზობე[...] ლი სახელმწიფოები უნგრეთიდან მოი[...] ხოვენ მომავალში გარანტიებს. ტრიან[...] ვის ხელშეკრულების რატიფიკაცია ე[...] თი სერიაა იმ ხელშეკრულებათა, რო[...] მელთაც შეიძლება ეწოდოს ევროპიულ[...] ხელშეკრულება. დარჩა მხოლოდ სევრი[...] ხელშეკრულება, რომელიც უმთავრესა[...] ეხება ანატოლიას. ამ ხელშეკრულებ[...] რატიფიკაცია არ შეიძლება ჯადიდე[...] განუსაზღვრელ დრომდის.

**პეტლიურას ბოლო მოეღო.**

**მოსკოვი**, 1 დეკ. პოლონეთის [...] რობამ პეტლიურა და მისი თანამშრო[...] ლები სამოქალაქო ტყვეებათ გამოა[...] ხადა.

**არგენტინა და ხალხთა ლიგა**

**ნაუენი**, 8 დეკ. ნეიტრალურმა დ[...] ლომატიამ, რომელიც ახლა იმყოფე[...] ბერლინში განუცხადა საუბარში გაზ[...] „პოსტ“-ის თანამშრომელს, რომ არგე[...] ტინის ხალხთა ლიგიდან გამოსვლა, რ[...] მელმაც ასე გააკვირა გერმანიის მართ[...] ლი წრეები, არც ისე მოულოდნელ[...] მოხდა. ნეიტრალურმა სახელმწიფოე[...] უკვე დასვეს კითხვა: შეუძლია თუ [...] ხალხთა ლიგას იარსებოს თანამედრო[...] პირობებში. ოპოზიცია დაიბადა [...] ხალხთა ლიგის წინააღმდეგ, არამედ [...] პოლიტიკის წინააღმდეგ: არც ერთ [...] ხელმწიფოს არ შეუძლია შევიდეს ხა[...] ხთა ლიგაში, თუ ის არ შეცვლის თა[...] პოლიტიკას. „მე ღრმათ ვარ დარწ[...] ნებული, თქვა დიპლომატმა—რომ არ[...] ნტინის მაგალითს სხვებიც მიბაძვე[...] თუ ხალხთა ლიგას სურს აწარმოვოს [...] სარგებლო მუშაობა, მან უნდა მიიღ[...] თავის წრეში ყველა განათლებული [...] ხელმწიფოები. უგერმანიოთ ურუსე[...] და უამერიკოთ ხალხთა ლიგა იქნ[...] უთავო ტანი.

ასეთივე აზრის არიან ამერიკელე[...] როგორც რადიოთი იტყობინებიან ს[...] ტორ ლოდჯეს განუცხადებია, რომ [...] რიკა მართალი იყო, როდესაც ამ [...] წლის წინათ უარი თქვა ხალხთა [...] გის წევრობაზე.

# ღიური.

**გაზ. „პრავდა“ ახალ დემოკრატიულ ფრონტზე.**
**დონეცის ბასეინის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ზრუნვა.**
**სინაფერეინერების ბრძოლა ინგლისის კაროლის ჯართან.**
**უმუშევრობის გაძლიერება უნგრეთში.**
**შეტაკება მუშებსა და პოლონეთის ჯარს შორის სილეზიაში.**
**გაფიცვები ძლიერდება და ვრცელდება ნორვეგიაში.**
**მახნოსა და მისი რაზმების ლიკვიდაცია.**

**ბულგარეთი და ომის დამნაშავენი.**

**სოფია,** 30 ნოემბერი. „ბოსფორი“ სწერს:

„კრების სხდომები გადადებულია 11 დეკემბრამდის, რათა უფრო უზრუნველყონ ხელშეკრულობის სისრულეში მოყვანა. კრებამ მიიღო კანონი, რომელიც სასტიკ პასუხის გებაში აძლევს იმ პირთ, ვინც ომის დროს სხვა ქვეყნებიდან რაიმე საქონელი გამოიტანეს და დღეს კი მალავენ. კანონის ძალით ასეთ პირებს გაჩხრეკენ და თუ რაიმე აღმოუჩნდათ 2 თვის ვადას აძლევენ დასაბრუნებლად. მიიღეს აგრეთვე სახელმწიფოს ბიუჯეტის კანონი და სხ.

**ხალხი გაიმარჯვებს.**

**ტრაპიზონი,** 1 დეკ. გაზ. „ისტიკბალი“ 23 ნოემ. ნომერში სწერს: დღევანდელი მღელვარებანი 1914 წელს დაწყებულ ომის შედეგებია. ხალხი იღვიძებს დიდი ხნის სსლათას ძილისაგან. გვირგვინები ცვივიან მონარქების თავიდან. კაცობრიობა ნელი ნაბიჯით მიდის უცნობ მომავლისაკენ და ყურს უგდებს ხმებს, რომლებიც გაისმის საერთაშორისო ბრძოლის დროს: „წყეული იყოს უსამართლობა“. და ყველა მსხვერპლს, წითელ სისხლის მდინარეებს მიზნათ აქვთ ერთხელ და სამუდამოთ მოსპონ უსამართლობა.

როგორც რუსეთმა ოქტომბრის რევოლიუციით დაამხო მტარვალების ბატონობა და დაამყარა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის და ბედნიერებისათვის, ისე იტალიის შვილებიც დაამსხვრევენ კაპიტალიზმის საუკუნოებრივ უღელს, რომელიც დამყარებულია ფანატიზმზე და ხალხთა ყვლეფაზე. ბერძნებმა განდევნეს ვენიზელოსი, რუმინიაში კი გლეხები იბრძვიან მიწებისათვის. ყველა ამ ამბებმა გამოაღვიძეს დაჩაგრული აღმოსავლეთი და აამხედრეს ის კაპიტალისტური დასავლეთის წინააღმდეგ. დღე გავიდენ ისინი, ვინც ლაპარაკობდა, რომ აღმოსავლეთი განათლებული დასავლეთისათვის სათამაშო ბურთიაო. გუშინდელნი და დღევანდელი ამბები დიდ იმედებს აძლევს აღმოსავლეთს. არ არის საეჭვო, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხის ბრძოლა დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდება.

**გუნარისი სმირნაში.**

**სტამბოლი,** 30 ნოემბ. სამხედრო მინისტრი გუნარისი გენერალ პაპულიასის თანხლებით გაემგზავრა სმირნაში, რომელიც მიიღებს თავის თავზე ჯარის სარდლობას.

**პლებისციტი კონსტანტინეზე.**

**სტამბოლი,** 28 ნოემ. ათინიდან იტყობინებიან, რომ ან ახლა კვირას და ან მომავალ კვირას, 5 დეკემბერს შედგება პლებისციტი მეფე კონსტანტინეს დაბრუნების შესახებ. პლებისციტში ქალებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**რალლისის ახალი განცხადებანი.**

**სტამბოლი,** 1 დეკ. რალლისმა მიიღო საფრანგეთის პრესის წარმომადგენლები, რომლებიც იმყოფებიან ათინაში და განუცხადა მათ, რომ საბერძნეთის პოლიტიკა მოკავშირეების მიმართ შეუცვლელი რჩება. საბერძნეთის ხალხი — თქვა მან, — ას წელზე მეტია, რაც შეთანხმებულია საფრანგეთთან და ინგლისთან და მათთან ერთად ის იბრძოდა მტრების წინააღმდეგო.

**საბჭოთა მუშაობა სევასტოპოლში.**

**ნიკოლაევი,** 7 დეკ. სევასტოპოლში მოხდა ყველა საბჭოთა თეატრების საზეიმო გახსნა თანდათანობით უმჯობესდება ნავთ-სადგურის და ქარხნების მდგომარეობა. მოკლე ხანში სევასტოპოლის და მის რაიონის უმუშევრებს მისცემენ სამუშაოს. გაცხარებული მუშაობენ გემების რკინის გზის მოძრაობის და ავტომობილების შესაკეთებლათ. სევასტოპოლში მოწვეულ იქმნა პირველი უპარტიოთა კონფერენცია. მონაწილეობას ღებულობდა 300 დელეგატი, რომლებიც იყვნენ 20.000 მუშის წარმომადგენელი. პრეზიდიუმში აირჩიეს კომუნისტურ პარტიის დასახელებული დელეგატები. კონფერენციამ გაუგზავნა დეპეშა ლენინს, რომელშიაც ლაპარაკია, რომ რუსეთის პროლეტარიატის ჩვენზე, ევროპისაზე დამყარებული იმედები ყოვლის უკეთ მხრივ ასაღორძინებლად, ჩვენ მიერ გამართლებული იქნება. საბჭოთა რუსეთის პირველ გამოძახილის თანვე სევასტოპოლის პროლეტარიატი აქტიურად გამოვა და სამკვდრო სასიცოცხლო ომს გაუმართავს მსოფლიო ბურჟუაზიას — მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გასამარჯვებლად.

**საბჭოთა დაწესებულებების გაწმენდა.**

**ევპატორია,** 6 დეკ. საბჭოთა დაწესებულებების გასაწმენდათ ზოგიერთ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან შედგა განსაკუთრებული კომისია.

**ვრანგელის მსხვერპლის დაკრძალვა.**

**სევასტოპოლი,** დიდი ამბით დაასაფლავეს თეთრგვარდიელებისაგან ტანჯული კომუნისტები. ამ დაკრძალვაში მონაწილეობას ღებულობდა ათი ათასობით მუშები, წითელ არმიელები და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკები. იყვნენ პროფ. კავშირები და ქარხნის კომიტეტები. 45 კუბოში ეწყო 66 ცხედარი რომლებიც იყვნენ ვრანგელის წინააღმდეგ აჯანყებულები და იატაკ ქვეშ მომუშავე კომუნისტები.

**შემთანხმებლების კავშირი საქსონიაში.**

**დრეზდენი,** 8 დეკ. მეუმრავლესე სოციალისტები — დამოუკიდებლები (მემარჯვენე ფრთა — პრ. ბიუროს შენიშვნა.) დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ შეუთანხმდენ ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ. ახალი სამინისტროს თავმჯდომარე იქნება უკკი.

**გაფიცვა რომში.**

**რომი,** 8 დეკ. ელექტრონის ქარხნებში გრძელდება გაფიცვა. გაფიცულთა მაგიერ მუშაობენ საინჟინერო ჯარები, რის გამო აღდგენილია ტრამვაის მოძრაობა და განათების საქმე.

**ვრანგელის მომხრენი მიდიან აფრიკაში.**

**ლიონი,** 9 დეკ. საფრანგეთის პრესა იტყობინება, რომ ჯავშნოსანი „ფრანსი“ გაემგზავრება ბიზერტში (ტუნისის ჩრდილოეთ ნაპირზე — პ. ბ.), სადაც უნდა მივიდენ გენერალ ვრანგელის სამხედრო გემები.

**ლიონი საბერძნეთის საქმეების შესახებ.**

**ლიონი,** 9 დეკ. როგორც მოსალოდნელი იყო, საბერძნეთის პლებისციტი კონსტანტინეს სასარგებლოდ დასრულდა. ირწმუნებიან, რომ ამის გამო მთავრობა შეშინებულია მოკავშირეთაგან და წინადადებას აძლევს კონსტანტინეს, უარყოს ტახტი და დაუთმოს ის თავის უფროს შვილს. ირწმუნებიან, რომ ტახტის მემკვიდრე სტამბოლში მოელის ნალმოსანს, რომლითაც გაემგზავრება ის ათინაში. სტამბოლელ ბერძნებმა კონსტანტინეს ათინაში დაბრუნების საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. ინგლისის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას ჩააბარა ნოტა, რომლითაც მოკავშირენი იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობას არ მიეცემა 4 მილიარდი და 400 მილიონი დრახმი სესხათ.

**გერმანია საყოველთაო გაფიცვების მოლოდინში**

**ნაუენი,** 8 დეკ. გერმანიას ემუქრება გაფიცვა. მოსალოდნელია გაფიცვა ყველა მოსამსახურეთა, მოხელეთა, რკინის გზის და ფოსტა ტელეგრაფის მუშების. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტმა ულტიმატუმით მიმართა მთავრობას. რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირი ასეთსავე ნაბიჯს სდგამს 11 დეკემბრისათვის. ზოგ ოლქებში მთავრობის მოხელეებმა საბოტაჟის გზით უკვე დაიწყეს ბრძოლა. იამინისტრომ ერთხმათ დაადგინა აეკრძალოს მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეებს ყოველგვარი გაფიცვები. გაფიცვისა და საბოტაჟისათვის დამნაშავენი დაისჯებიან. მთავრობის დაწესებულებების მოხელენი აცხადებენ, რომ ტანისამოსი და სურსათი ისე გაძვირებულია, რომ მიღებულ ჯამაგირით შეუძლებელია ცხოვრებაო. ისინი მოითხოვენ, რომ მთავრობამ შესწყვიტოს სამხედრო სესხის პროცენტების გადახდა და ეს ფული მოახმაროს მოსამსახურეთა ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის საქმეს. მინისტრები მდგომარეობას სთვლიან „ძლიერ მძიმეთ“ მით უმეტეს, რომ მემარცხენე პარტიების სურვილია ისარგებლონ ამ კონფლიკტებით.

## სპარსეთში.

**ბაქო,** 8 ოეკემბერი. მიუხედავათ იმისა, რომ სპარსეთში ინგლისელები საშინელ პროვოკაციას ეწევიან, სპარსელები მაინც კომუნისტებს მიყვებიან. ის ქურდები, რომელთა შორის კიდევ არის თემური მიწათ მფლობელობა, ბოლშევიკებთან ერთად იბრძვიან ინგლისელთა წინააღმდეგ. როდესაც ინგლისელებმა ხამადანში და ყაზვინში გაიარეს, მათ გლეხებმა სროლა აუტეხეს.

**საფრანგეთი ღვთის მმოსავი ხდება.**

**ლიონი,** 9 დეკემბერი. 8 დეკემბერს კარდინალი დებუა პარიზის არქიეპისკოპოსათ ეკურთხა. კურთხევა პარიზის ღვთის მშობლის სახელობის სობოროში მოხდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვენდრიის კომენდანტათ დაინიშნა. პრემიერ მინისტრის მაგიერ მისი მდივანი დემონტილი დაინიშნა.

**საბერძნეთის კაბინეთი და კაროლი კონსტანტინე.**

**ლიონი,** 9 დეკემბერი. როგორც-კი საბერძნეთის პლებისციტის შედეგები გამოქვეყნდება მინისტრთა საბჭო კაროლ კონსტანტინეს დეპეშას გაუგზავნის. გაზ. „ტანი“ იუწყება, რომ ზოგი მინისტრი სამინისტროდან გასვლას აპირებს დრახმას კურსის დაცემის გამოო.

**ერთა ლიგა.**

**ლიონი,** 9 დეკემბერი. განნოტოს და ლედსონის ტექნიკურ საშვალებებზე მოხსენების მოსმენის შემდეგ, კანადის დელეგატმა რაუელმა განაცხადა, რომ მას აკვირვებს გაძლიერებული ხარჯები, რომელსაც ეს ორგანიზაცია გამოიწვევს. მომხსენებელმა გააკრიტიკა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა და რაუელის და განნატოს აზრები. იგი ამბობს, რომ ერთა ლიგა უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ევროპას, არამედ მთელ ქვეყნიერობასო. ერთა ლიგა მარტო თათბირით — კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, ან მიუწვდენელ იდეალებზე-კი არ უნდა ოცნებობდეს, არამედ იგი ყველას პრაქტიკულ დახმარებას უნდა უწევდეს. ლორდ სესილი აღნიშნავს, რომ ნაადრევი იქნება ყველა ის ინსტიტუტები, რომლის შემქნელთა ლიგას განუზრახავს, მუდმივ დაწესებულებათ ვაქციოთ, სანამ მათ ერთი წლის მოქმედების ისტორია არ აქვთ. კანადა — ამბობს სესილი — ერთა ლიგის ერთად-ერთი საუკეთესო მეგობართაგანი იყო მუდამო. განნატოს და სესილის სიტყვების შემდეგ რაული ბოდიშს იხდის განნატოს შეურაცყოფისათვის. მე მსურდაო — ამბობს იგი — აღმენიშნა ის, რომ ევროპის მთავრობებმა ვერ შესძლეს ომის შეწყვეტაო. (არგენტინის ერთა ლიგიდან გასვლის გამო კანადის დელეგაციასთან უთუოდ მოხდება კონფლიქტი. მაგრამ ლიონის რადიო, რაც მოსალოდნელია, ამაზე სდუმს. ეს დაშლა-რღვევის ნიშნებია. ბურჟუაზიულ ქვეყანას ამ გვარი ლაყბობაც ვერ იხსნის.

# საბჭოთა რუსეთში

**„ჩვენ ვუცდით“**

**მოსკოვი,** 9 დეკ. გაზ. „პრავდა“ თავის სტატიაში: „ჩვენ ვუცდით“ სწერს:

„რომ თეთრგვარდიელთა ქვეყანა ეხლა ბოლშევიზმთან საბრძოლველად ახალ მეთოდებს დაეძებს. ლაპარაკია „დემოკრატიულ ფრონტზე“, და ყველა დემოკრატიულ ელემენტების გაერთიანება ბალშევიკების წინააღმდეგ — ყოველივე ეს უბრალო ფრაზიორობაა. ამავე დროს ბერლინში დგება ცენტრი აქტიურ კონტრ-რევოლიუციონერ ბომბისტების.

ბერლინის გაზეთი „ვრემია“ ბალშევიკების წინააღმდეგ მოუწოდებს ყველას, ვინც შურისძიებით არის ანთებული ბალშევიკების წინააღმდეგ' რომლებმაც გარეკეს დამფუძნებელი კრება და ფეხქვეშ თელავენ თავისუფლებას. გაზეთი ამბობს, რომ კენიგისერის და კაპლანის მოღვაწეობა სამაგალითოთ უნდა იქნას ჩვენთვის მიჩნეული კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროსო. (კენიგისერი და კაპლანი — მსოფლიო იმპერიალიზმის მოსყიდული ჯალათებია. კენიგისერმა მოჰკლა ამხ. ურიცკი და კაპლანის ქალმა კი დასჭრა ამხ. ლენინი).

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ სწერს ასეთ ამაღალვებელ სტატიებს? ძნელია ამის გამოცნობა. ყოველივე ეს საიდუმლოებით არის მოცული. მხოლოდ გაზეთის უკანასკნელ გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ განცხადებებს: ძვირფასი ქვების გაყიდვაზე, საცეკვაო საღამოებზე და სხ. აი, ეს ბრილიანტების გამყიდველები და ინტიმიურ საღამოებზე მოცეკვავენი არიან ამ გაზეთის მოწინავე წერილების ავტორები, რომლებიც თავის წერილებს სათაურათ უკეთებენ: „ჩვენ ვუცდით“. ისინი უცდიან იმ დროს მობრუნებას, როდესაც მათ შეეძლებათ გამდიდრება და მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყნის მშრომელების დამონება. მაგრამ ცდებიან ეს ვაჟბატონები. შეიარაღებულ ხალხთან ხუმრობა საფრთხილოა. კერძო მოღვაწის მოკვლაზე მშრომელები მასსიური ტერორით უპასუხებენ, რის გამო მსოფლიო ბურჟუაზიას ყალყზე დაუდგება თმა.

**შეშის დამზადება.**

**ბალაკლავი,** 6 დეკ. რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილებით გეორგიევის მონასტრის ყველა შრომის უნარის მქონე ბერები გაწვეულნი არიან სამუშაოზე შეშის დასამზადებლათ.

**სამშობლოში ბრუნდებიან.**

**მოსკოვი,** 8 დეკ. რიგის გზით ბრუნდებიან რუსეთში 710 სამხედრო ტყვე. ქალაქ რიგაში მათ დაურიგეს ახალი ტანისამოსი.

**კმარა მატყუარობა.**

**ტამბოვი,** 6 დეკ. ტემნიაკოვის ოლქის საბჭოთა ყრილობამ, რომელიც შესდგებოდა ორი მესამედი უპარტიოთაგან დაადგინა გასინჯონ სერაფიმე სოროვსკის ნეშთი.

**მრეწველობის აღდგენა.**

**ტამბოვი,** 6 დეკ. ბორისოგლების საპონის დასამზადებელ ქარხანას საკმაოთ მიუზიდეს ნედლი მასალა. ქარხანაში მუშაობა იწყება.

**დონის ქვა-ნახშირის ოლქზე მზრუნველობა.**

**ხარკოვი,** 6 დეკ. ჯანმრთელობის კომისარი სემაშკო მოვიდა დონის ქვანახშირის ოლქში. მისი მონაწილეობით შესდგა თათბირი დონის ოლქის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ.

სანიტარული მდგომარეობა კარგია. საავადმყოფოები კარგ მდგომარეობაშია. უკრაინაში გასაგზავნ მედიკამენტების მეხუთედი ნაწილი დაეთმო დონის ოლქს

# რევოლიუციის ფრონტებზე

## სამხედრო ოპერატიული 8 დეკემბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბისა.

**მოსკოვი,** 9 დეკ. ყველა ფრონტებზე სიწყნარეა.

რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ **კლიმი.**

**ბრძოლა ირლანდიაში.**

**რიგა,** 6 ნოემბერი. ინგლისის გაზეთები სავსეა ცნობებით ირლანდიაში ინგლისელ ჯარებსა და სინფეირამებს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. ერთ შეტაკების დროს 15 ინგლისელი ჯარისკაცი მოუკლავთ.

ორივე პალატაში ყოველ დღე ირლანდიის საკითხზეა კამათი.

**ბურჟუაზიულ სამოთხეში.**

**მოსკოვი,** 9 დეკემ. ნახშირის უქონლობის გამო უნგრეთის მთავრობამ ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიგი გააუქმა, რის გამო უმუშევართა უთვალავ რიცხვს, რომლებიც სიმშილის და სიცივის მსხვერპლს წარმოადგენენ, კიდევ მიემატა 35 ათასი უმუშევარი. საერთოთ, დღეს უნგრეთის მუშების ნახევარი უსაქმოთ არიან. უნგრეთში სურსათის კრიზისი უკიდურეს წერტილს აღწევს. გლეხები პურს არ იძლევიან. ქაღალდის ფულის კურსი სწრაფათ ეცემა.

**მოსკოვი,** 9 დეკ. პირველ დეკემბერს არხანგელსკში მუშაობა დაიწყო 8 სახერხ ქარხანაში.

ოქტომბრის რევოლიუციის 3 წლის თავის აღსანიშნავად კუმბაკის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა ზედმეტი მუშაობით 5 ნახევარი ათასი ფუთი ფოლადი ჩამოასხეს. მშვიდობიან დროს კი დღეში 4 ნახევარი ათასი ფუთ ფოლადს ამზადებდენ.

**უმავთულო ტელეფონი.**

**მოსკოვი,** 9 დეკემბერი. ნიჟნი-ნოვგოროდში რადიო-ლაბორატორიაში შეუდგენ ცდას, რომ უმავთულო ტელეფონით რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან გამოლაპარაკება მოეწყოს.

# საქართველოში

## ბრძოლის ახალი მეთოდი.

1920 წელს 7 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე თავისუფლების მოედანზე შემდეგი ამბავი დატრიალდა: ვიღაც არამზადამ გაზეთის დამტარებელ ბავშვს ჩამოართვა კომუნისტური გაზეთების გასაყიდი ნუმრები და ლეცხლი წაუკიდა ამ საზიზღარმა სურათმა მოედანზე თავი მოუყარა ბრბოს. მათ შორის მოვიდა ერთი მუშაც, რომელმაც სასტიკი პროტესტი განაცხადა ასეთ საზიზღარ მოქმედების გამო. ამ დროს ცეცრად გაჩნდენ მგონი, სისხლის სამართლის მილიციის მილიციონერები და ამ პროტესტის განცხადების გამო დააპატიმრეს ეს მუშა და წაიყვანეს მილიციის უფროსთან. მილიციის უფროსი შეეკითხა მას, თუ ვინ იყო ის, ანდა რისთვის მოიყვანეს. მუშამაც ყველაფერი უამბო. შემდეგ ის გაჩხრიკეს და აღმოუჩნდა მას კომუნისტური პარტიის წევრობის მოწმობა და გაზეთი „კომუნისტი“. ნუშას სიცილი დააყარეს და უთხრეს: მალე ციხეში მიბრძანდებიო. შემდეგ მუშას ჩამოართვეს პირობა, რომ ის კომუნისტურ პარტიას დატოვებს. დასწერეს წერილი, სადაც ლანძღავდენ კომუნისტებს.

ამ წერილს ძალდატანებით ხელი მოაწერიეს მუშას, ვითომ მისი ნაწერი იყო, შემდეგ ეს წერილი კი უნდა დაებეჭდათ გაზ. „ერთობაში“. აი ასეთი ამბები ხდება პატივცემულნო მკითხველნო დემოკრატიულ „თავისუფალი“ საქართველოში, სადაც მენშევიკების სიტყვებით მეფობს სრული თავისუფლება და თანასწორობა.

სხვა ბრძოლის მეთოდებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ ახალი ბრძოლის მეთოდი შემოიღეს. გაზეთის დაწვა! კარგი საშვალებაა კომუნისტურ იდეასთან საბრძოლველად.

ს—ა.

## აფთიაქის მოწაფეთა საყურადღებოთ.

ა. წ. დეკემბრის 25-ს დაიწყება მეცადინეობა თბილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის კურსებზე აფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებად. სწავლის ფული თვითეულ მოწაფეს გადახთება ათას ხუთასი მანეთი. გამოცდები მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალი წლის მარტში რუსულ-ქართულ ენაზე და დაუშვებენ ისეთებს, რომელთაც პრაქტიკა მიუღიათ არა ნაკლებ სამი წლისა.



# განცხადებანი.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

ბიურო ღიაა დილის 10—12 სათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის
# ფურცელი
№ 16 № 16

## სალამი სომხეთის განთავისუფლებულ ახალგაზრდობას

ჭაბუკნო გმირებო!

ჩვენ საქართველოს კომ. ახალგაზრდობა, რომელიც ჯერ კიდევ სულს გმინავს მენშევიზმის მძიმე უღლის ქვეშ, მოგმართავთ თქვენ მხურვალე სალამით და გილოცავთ უზენაეს, ბრწყინვალე გამარჯვებას! დიდი და აუწერელია ჩვენი სიხარული: ჩვენ ბედნიერნი ვართ ჩვენი ძმათა განთავისუფლებით. სომხეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელიც მებრძოლია მოწინავე მწკრივში ყოველთვის იდგა, რომელიც იყო პიონერი და მებაირახტრე განმანთავისუფლებელ მოძრაობისა, რომელმაც მრავალი საუკეთესო ამხანაგი ზვარაკათ შესწირა მშრომელთა საბედნიეროთ, დღეს მან თავის უფროს ძმებთან ერთად დაამსხვრია მონობის და სირცხვილის ბორკილები და დაამყარა თავისი, საკუთარი, მუშურ-გლეხური, საბჭოთა ძალა-უფლება, აღარ არის არსებულ მთავრობათა ყველაზე მეტათ გაიძვერა და მუხანათური დაშნაკური მთავრობა, რომელიც იყო გამოსავალი მიზეზი სომხეთის ხალხის აუტანელ ტანჯვა-წამებისა, რომელმაც მიყიდა თავის ხალხის ბედნიერება ანტანტის მეყასბეებს და სისხლის მორევში ჩაალრჩო მშრომელთა ცდა გამოსხლტომოდა დაშნაკელთა ბრჭყალებს. სომხეთის ჯალათ და ბარბაროსულ ბატონობის მაგიერ იქ დამყარდა პროლეტარიატის რკინისებური დიქტატურა, საბჭოთა ძალა-უფლება, რომელიც პირმშო შვილია მშრომელთა მასსისა, მას ემსახურება, ეყრდნობა და სცოცხლობს მისი აქტივობით... მაგრამ კონტრ-რევოლიუციას კისერი ჯერ კიდევ საბოლოოთ არ აქვს მოგრეხილი, ბრძოლა მწვავე და სუსხი ჯერ კიდევ მომავალშია (ცეცხლში და ქარტეხილში, ცრემლები და სისხლში, შიმშილ და აუტანელ ტანჯვაში იბადება ახალი ქვეყანა, ქვეყანა მშრომელთა ძმობა-ბედნიერებისა) მაგრამ ჩვენ ერთ წუთსაც ეს ვეჭვობთ ამ საგმირო ჰიდილის შედეგებში: საბჭოთა რესპუბლიკას ყავს ერთგული დამცველი, თავდადებული მებრძოლი—გმირული სომხეთის კომუნ. ახალგაზრდობა. ჩვენ ღრმათ გვწამს რომ ის არ უღალატებს თავის სახელოვან რევოლიუციონურ ტრადიციებს, რომ ის თვალის ბეწვივით მოუვლის და გაუფრთხება ახლათ შობილ პროლეტარულ ძალა-უფლებას: რუსეთის და საზღვარ-გარეთ ახალგაზრდობის თავგანწირულ ბრძოლის ცოცხალი მაგალითები თვალწინ გვიდგას; ესეც რომ არ იყოს, განა ტყუილა დაანთხო რევოლიუციის ზვარაკათ შეწირული თავის საუკეთესო წევრთა უმანკო და წმინდა სისხლი სომხეთის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ ალექსანდროპოლის, სარიკამიშის და სხვა ბევრ ქალაქთა ქუჩებზე მაისის დღეებში? არა. დაღუპულ გმირთა სული მასში სცოცხლობს, მას თავს დასტრიალებს, ძალას მატებს და ამხნევებს. სომხეთის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ ბრწყინვალეთ დაიჭერს ამ გამოცდასაც, რომელიც მას არგუნა ისტორიამ: საბჭოთა მთავრობის გამაგრება, დამტკიცება—დაცვაში. წინ ჭაბუკო გმირებო კომუნარებო! ბრძოლა, დიდება—გამარჯვებისაკენ!

წინ, წინ გასწით მეგობრებო,
ნუ შედრკებათ თქვენი გული
დეე, მკერდს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული.

## დავიწყებულ ფაქტი

გასული წლის ნოემბერში თბილისში დასრულდა საქარ. ახალგ. მარქსისტთა კონფერენცია. როგორც მაშინდელი „ახ. კვალიდან“ ვტყობილობთ კონფერენციაზე სერიოზული დავა გამოუწვევია საკითხს საბჭოთა სისტემის შესახებ. ერთნი იცავდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც ფორმას პროლეტარიატის დიქტატურისას, მეორენი კი საბჭოთა რესპუბლიკას. კენჭის ყრის დროს, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, პირველი დებულების დამცველებმა მიიღეს 18 ხმა მეორის კი—13. როგორც სჩანს ეს უკანასკნელი საკმაოთ ძლიერნი ყოფილან კონფერენციაზე. თუ ვიგულისხმებთ, რომ დელეგატები გამომხატველნი იყვნენ ორგანიზაციის წევრთა ნება-სურვილებისა, მაშინ ეს 13 კაციც წარმომადგენლნი იქნებოდენ ახალგ. მარქსისტთა საგრძნობ ნაწილისა მემარჯვენე მიმართულება „მემარცხენეთ“, წარმოიდგინეთ ბოლშევიკობასაც კი სწამებდენ. კონფერენცია დაიშალა, ისე რომ ამ საკითხში ვერ შეთანხმდენ. ჩვენ მაშინ მეტად გაგვაკვირვა „მარქსისტთა“ შორის ასეთმა კამათმა და აზრმა და ვიფიქრეთ, მათ მემარცხენე ნაწილში დარჩენილა რევოლიუციური აზროვნება და რომ ის ვერ დაუმორჩილებდა „დემოკრატიულ“ კრეტინიზმს. ცხადი უნდა ყოფილიყო. რომ „მემარცხენე“ მარქსისტები თავისი აზრის გავრცელებას შეეცდებოდენ და ბრძოლა ორგანიზაციებშიც გადავიდოდა მაგრამ ასე არ მოხდა. რამდენათ გასაკვირველი იყო მაშინ მათი „მემარცხენობა“ მალე მიივიწყეს თავისი დებულება და არ ეცადენ მისი პროპაგანდა არა თუ მასსაში, არამედ თავის ამხანაგებშიაც კი. უკვე წელი გადის და ეს ფაქტი კვლავ დავიწყებულია, მგონი ეს „მარქსისტთა“ ლიდერების მეხსიერებაშიც არ შენახულა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს ფაქტი მიაფუჩეჩეს, ან და შერცხვათ მისი მასსაში გადმოტანა, რადგან ამას „ბოლშევიკობათ“ ჩათვლიდენ. რაშია საქმე, მართლა იდგენ ასეთ „მემარცხენეობის“ გუნებაზე „მარქსისტთა“ ერთი ჯგუფი თუ არა? მართლა სწამდათ იმათ მუშათა რევოლიუციონური საბჭოები, როგორც სახელმწიფო ორგანოები, თუ არა? ან და ამით შეიძლება იმათ მარტო ერთი მართალი სიტყვა წამოცდათ? ყველა ამ კითხვებზე გვიპასუხებენ ჩვენ დღევანდელი „მარქსისტობა“. მათში დღეს აღარ არის არავითარი აზრთა შეხლა-შემოხლა, შეური გეს ერთმანეთს თავიანთი აზრები, შესძლეს „შეთანხმება“ შეუთანხმებელის. ჩვენ ამის შესახებ არაფერს ვიტყოდით ვიცით ასეთი რამე მენშევიკებს ემარჯვებათ, მაგრამ ჩვენში განცვიფრებას იწვევს სწორეთ ეს „დავიწყებული ფაქტი“. რაც არ უნდა იყოს ის მაინც იმის მაჩვენებელია, რომ ერთ დროს ახალგ.მარქსისტები „სერიოზულათ“ ფიქრობდენ და აზროვნებდენ და უკამათოთ არ ღებულობდენ რაიმე დებულებას. საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის ფორმის შესახებ, როგორც გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიაში, ისე მათშიც იწვევდა აზრთა შეხლა-შემოხლას, მაგრამ გერმანიაში სხვანაირათ მიდიოდა საქმე, ვინემ აქ. „აზიური“ გერმანიის უძლიერეს პარტიაში ამ საკითხის ირგვლივ ღრმავდებოდა ბრძოლა და ბოლოს საბჭოთა იდეამ გაიმარჯვა. „ევროპიულ“ საქართველოში კი კონფერენციაზე სწარმოებდა დავა და შემდეგ ეს არც კი გახსენიათ. ჩვენ გვგონია, რომ ახალგ. „მარქსისტთა ორგანიზაციებში კიდევ მოიპოვება თითო-ოროლა რევოლიუციონერები, გულწრფელი და პატიოსანი ახალგაზრდები. ისინი სიხარულით მიიღებდენ საბჭოთა სისტემას, რომ საკითხი ორგანიზაციებში გარჩეულიყო. მაგრამ როგორც ვთქვი ეს ასე არ მოხდა, მათმა ბელადებმა საქმე, როგორც იტყვიან „ჩაფუცეს“. მეორე წლის ნოემბერი გათავდა და ახალგ. მარქს. ორგ. კონფერენცია, მოსალოდნელია, ამ ახლო ხანში შესდგება. და სანამ ეს მოხდებოდეს, მე მსურს მოვაგონო იმათ ეს „დავიწყებული ფაქტი“. იმედია, კონფერენციაზე გამოირკვევა ყველაფერი იმ თითო-ოროლა გულწრფელ რევოლიუციონერებისათვის, რომელიც მარქს. ორგ-ბში მოიპოვება. კონფერენციაზე გამოირკვევა ჩვენთვისაც, „არა მარქსისტებისათვის“ თუ რამდენათ შერჩენიათ ამ ახალგაზრდების ორგანოებს სიცოცხლის ნიშან-წყალი. ვნახოთ, რომელი გზით სვლა სურს საქართველოს ახ. მარქსისტებს: „აზიურათ“, რომელსაც მიყვება ევროპის ყველა რევოლიუციონ. პარტიები, თუ „ევროპიულით“ ე. ი. ლლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს გზით.

ხპარტაკი.

## ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ბერლინის ყრილობის წლის თავი.*)

დღეს ბერლინის ქუჩები სავსეა ახალგაზრდა დემონსტრანტების ჯგუფებით.

დღეს პარიზში, ლონდონში და ბურჟუაზიულ ევროპის ყველა ქალაქებში მწყობრათ გამოდიან ახალგაზრდა კომუნისტთა მილიონები... ისმის წითელი დროშების ტყის შრიალი... მგზნებარე სიტყვები... დღეს ზეიმია პროლეტარიატის ქუჩებზე.

დღეს წლის თავია ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ბერლინის ყრილობისა.

სწორეთ ერთი წლის წინათ, 20 ნოემბერს, ახალგაზრდათა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა გაახორციელეს ლოზუნგი: ახალგაზრდა პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!—ისინი გაერთიანდენ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში.

უსწორო ბრძოლაში მილიონობით დახოცილ ახალგაზრდათა საფლავებზე, საკატორღო საკნებში და კაპიტალისტების ფაბრიკა-ქარხნებში სიცოცხლეს უდროვოთ გამოსალმებულ ახალგაზრდათა სამგლოვიარო პროცესიაში, ახალგაზრდა რევოლიუციონერებმა აღიმაღლეს ხმა: „ახალგაზრდა პროლეტარებო მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ შეერთდით!

დიდი ვაი-ვაგლახის გადამტან ახალგაზრდობამ, რომლებმაც საუკეთესო თვისი წლები ბნელ საკნებში ჩააქვრეს, რომლებიც ამაყათ მიდიოდენ სახრჩობელებზე და დახვრეტაზე, თავისი საკუთარ ძვლებზე და სისხლით გაჟღენთილ მიწაზე ჩადგა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის საფუძველი.

ჯალათების ტყვიის სტვენაში გამართულ დემონსტრაციებში, ბურჟუაზიულ ჟანდრების შოლტის ქვეშ მუშა-ახალგაზრდობა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის შენობას აგებდა.

ბრძოლის ბარიკადებზე წითელი დროშით ხელში მუშა-ახალგაზრდობა ჰქმნიდა ბრწყინვალე მომავალს.

დღეს კი დასავლეთის ახალგაზრდობა თავის მომავალ გამარჯვებას ზეიმობს, ესალმება საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდობას.

ბერლინის ყრილობის დღეს საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდობა იმ დროს ხვდება, როცა იგი საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდობა გამარჯვებულია.

წითელმა არმიამ ყირიმის ჯალათებს კლანჭებიდან გამოსტაცა მილიონიანი ახალგაზრდობა.

დღეს უფრო მედიდურათ გამოდის ქუჩებზე დასავლეთის პროლეტარიატი. მან იცის, რომ ახლოა საბოლოო გამარჯვების დღე.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალი მომქმედი ორგანიზაციაა.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალი—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის საუკეთესო დასაყრდნობი ბურჯია.

ახალგაზრდა მუშები—მუშათა კლასის მოწინავე რაზმია.

მეორე ინტერნაციონალის შემადგენელი პარტიები მუდამ უფრთხოდენ მუშა ახალგაზრდობის რევოლიუციონურ აღმაფრენას და ცდილობდენ მის დაჯოჯოხეთებას.

„რა ბალღების საქმეა პოლიტიკა, ისინი უნდა სწავლობდენ.

მაგრამ, როცა კლასობრივი ბრძოლა უკიდურეს წერტილს აღწევდა, ახალგაზრდობა გულგრილობას ვერ ითმენდა.

ეს ბავშები საარაკო გმირობას იჩენდენ დემონსტრაციებში და ქუჩებზე გამართულ ხელ-ჩართულ ბრძოლაში.

პირველად 1907 წელს შტუტგარტის ყრილობაზე გაერთიანდენ ახალ გაზრდათა ორგანიზაციები ახალგაზრდათა ერთ ინტერნაციონალში.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალის ს.-დემოკრატული ზედაფენები რომლებიც უფრთხიან ახალ გაზრდათა მოძრაობას, ყოველნაირათ აფერხებდენ ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობას.

გაჩაღდა მსოფლიო ომი. მეორე ინტერნაციონალის მოღვებმა უღალატეს მუშათა კლასს, გადაბარგდენ ბურჟუაზიის ბანაკში,—მხოლოდ ახალ გაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციები დარჩნენ მარქსის მცნებათა ერთ გულნი.

იმ დროს, როდესაც გერმანიის სოციალდემოკრატია თავის ბურჟუაზიასთან ერთათ ებრძოდა საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის და სოციალისტების გაერთიანებულ ბანაკს, ამ მეორე ინტერნაციონალის კრახის დროს ახალგაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციები 1915 წელს შვეიცარიაში შეიკრიბენ საერთაშორისო ყრილობაზე და იქ სთქვეს თავისი სიტყვა: მთელი ქვეყნის მუშათა კლასში ცოცხალია ძმური სოლიდარობის იდეია; მათ გამანადგურებელ ომის დაწყების თანავე გამოვიდენ ძველი პროლეტარული ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა კაპიტალისტური ქვეყნის დასამსხვრევათ შეერთდით!“

ამის შემდეგ ახალ გაზრდათა მწვავე ბრძოლა მსოფლიო ბურჟუაზიასთან დღემდის არ შეწყვეტილა.

დეე დოჩბლ წამოყრით ამტკიცონ კაუცკებმა, რომ პოლიტიკა ბალღების საქმე არ არისო,—რევოლიუცია [illegible] დება იმათ გარეშე და მათი სურვილის წინააღმდეგ.

ომის დროს ბურჟუაზიასთან ბრძოლაში გასალ-კლდევებული ახალ გაზრდათა ორგანიზაციები, დღეს ძლიერი პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

1919 წელს ბერლინში მათ მოაწყვეს საერთაშორისო ყრილობა. აქ გაერთიანდა ახალგაზრდათა მილიონები კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ისინი სამუდამოთ გამოეთიშენ მეორე ინტერნაციონალის გამცემ პარტიებს და შევიდენ მესამე კომუნისტურ ინტერნალში.

ბერლინის ყრილობაზე ახალგაზრდა მუშათა ბელადმა სთქვა, რომ ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მთავარ მიზანს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

ყრილობამ გამოიმუშავა ახალი პროგრამა, პროგრამა სამხედრო მოქმედებათა, ბურჟუაზიაზე გამარჯვების პროგრამა.

და კიდეც, მთელი წლის განმავლობაში ამ ყრილობის შემდეგ სწარმოებს მძაფრი ბრძოლა.

ამ ერთი წლის განმავლობაში საშინელ ბრძოლის ქარცეცხლში ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა თავის დროშის ქვეშ შემოკრიბა დასავლეთ ევროპის მთელი მებრძოლი ახალგაზრდობა. იგი უდრეკ ძალათ იქცა.

დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიები მეტ წილათ ახალგაზრდათა კავშირებიდან წარმოიშვა. ახალ გაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი მძლეთა—მძლე მსოფლიო კომუნიზმის სამაგალითო ბაზაა.

დღეს მთელი ქვეყნის კომუნისტური კავშირები მზათაა ახალი ბრძოლებისთვის, დღეს ისინი შინჯავენ და ათვალიერებენ თავის ძალებს.

ემზადე, დასავლეთის მუშა-ახალგაზრდობავ! წინ მოგელის მწვავე ბრძოლები, მძიმე განცდანი!

სალამი შენ, საერთაშორისო პროლეტარულ-ახალ გაზრდობავ—მსოფლიო კომუნიზმის ავანგარდო!

*) გადმოღებულია ბაქოს „კომუნისტის“ ფურცლიდან.

## ჩვენს კავშირში

### ხონის ორგანიზაციის კულტურულ განმანათლებელი მუშაობა

ხონის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის მდგომარეობა სასურველ დონეზე დგას. წინა წერილში იყო აღნიშნული, რომ კარგა ხნის მიყუჩების შემდეგ მუშაობა განახლდათქო, დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კავშირი უკვე მძლავრი ორგანიზაციაა რომელიც თანდათანობით ვითარდება. ჩვენს „ფურცელს“ რამოდენიმე წერილი უძღვნეს, თუ რა პირობებში უნდა ვითარდებოდეს კავშირის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. როგორც ორმა ამხანაგთაგანმა აღნიშნა, კავშირის მოვალეობაა შეებრძოლოს უსწავლელობას, უნდა ეცადოს რომ, თუ კავშირში უსწავლელი, განსაკუთრებით წერა კითხვის არ მცოდნენი მოიპოვებიან, მოსპოს ეს ნაკლი და იხელმძღვანელოს იმ მეთოდით როგორიც არსებობს რუსეთში უსწავლელობასთან საბრძოლველათ. ასეთ მოვლენას (უსწავლელო ას) კავშირში ყოველთვის ექნება ადგილი, სანამ მას მთელი ძალღონით არ შეებრძოლებით. ამის მიზეზი არის ის, რომ საქართველო, კულტურის მხრით, როგორც რუსეთი, ჩამორჩენილი მხარეა, წერა კითხვის არ მცოდნეთა რიცხვი ჩვენში საკმაოა. ეს ერთი. გარდა ამისა ჩვენს კავშირში რომ ასეთ მოვლენას ქონდეს ადგილი, არ უნდა გვიკვირდეს, რადგანაც ჩვენი კავშირი არის მუშათა და გლეხთა ორგანიზაცია, რომლებშიაც ყველაზე უფრო აქვს გადგმული ფესვები უსწავლელობას. რა მდგომარეობაში იმყოფება ამ მხრით ხონის კავშირი? ამ შემთხვევაში ის ფრიად დამაკმაყოფილებელია. ხონის კავშირში, რომელიც განსაკუთრებით შესდგება მოსწავლე ახალგაზრდობიდან და მუშა გლეხებისაგან, არ მოიძებნება უსწავლელნი, პირიქით უმრავლესობა თითქმის საშუალო განათლებით არის აღჭურვილი, დანარჩენი კი დაბალით. ამგვარათ ერთი მხარე ნაკლოვანებისა არ აქვს ხონის კავშირს. მაგრამ არსებობს მეორე მხარე, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, რომლის უქონლობა შეუძლებელია. არ კმარა მარტო, რომ კავშირის თვითეულმა იცოდეს წერა-კითხვა, ქონდეს ცოტათ თუ ბევრათ კლასიკური ცოდნა. ეს მარტო როდი კმარა. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი თავის „კომუნიზმის ანბანში“ სწერენ: პარტიის წევრათ შეიძლება ითვლებოდეს მხოლოთ ის, ვინც იზიარებს“ პროგრამას, ანუ თვლის მას სწორათ. მაგრამ სწორია თუ არა ის, გეცოდინება მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ მას იცნობ და იცნობ მაშინ, როდესაც ის გაქვს შესწავლილი. პროგრამის უცოდინარათ არავის არ შეუძლია იყოს ნამდვილი კომუნისტი—ბოლშევიკი“. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული წევრი კავშირისა უნდა იყოს გაცნობილი „ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის პროგრამასთან ე. ი. კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარული ორგანიზაციის მოქმედებასთან. ყოველ წევრს კავშირისას ნათლათ უნდა ესმოდეს კომუნისტური პარტიის შინაარსი და მისი ტაქტიკა; იცოდეს ერთი სიტყვით ბევრი თუ არა „ანბანი კომუნიზმისა“ მაინც. ასეთი საშუალებით, გათვითცნობიერების გზით, ჩვენ მივიმხრობთ ფართე მასსას ახალგაზრდობისას და გარდა ამისა მოუმზადებთ მცოდნეთობას მომავალს. ჩვენს კავშირს ბლომათ მოაწყდება მსურველნი როგორც მუშა მასსებიდან, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობიდან. ჩვენი ღირსებით, ყურადღება უნდა მივაქციოთ პროლეტარულ მოსწავლე ახალგაზრდობას, ვინაიდან, როგორც სწერს კაუცკი ერთ-ერთ თავის შრომაში „ინტელიგენციაში ყველაზე უფრო შეიძლება მივიმხროთ ახალგაზრდობა. რამდენათაც ჩვენი მიზნები ხდება თვალსაჩინო ინტელიგენციისთვის, მათ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ყველაზე ადვილად ის ვრცელდება ახალგაზრდობაში ინტელიგენციის“. ამ მხრივ ხონის კავშირი სასურველ საფეხურზე დგას. კავშირის ყველა იაჩეიკებში მეცადინეობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. უკვე დაწყებულია შესწავლა, „კომუნიზმის ანბანისა,“ და განზრახულია გასვლა ამ წელში აგრეთვე ლენინის „სახელმწიფო და რევოლიუციისა“. ყოველ იაჩეიკაში არსებობს ბიბლიოთეკა სადაც კავშირის წევრს აქვს საშუალება იკითხოს გაზეთები და გაიგოს მომენტის მთავარი კითხვები. სულ რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენს კავშირში არ იქნება არც ერთი წევრი, რომელსაც არ ქონდეს ცოტათ თუ ბევრათ შესწავლული კომუნისტური პარტიის და მისი სახით რევოლიუციონური მარქსიზმის ანბანი. ასეთი საშუალებით კომუნისტური ახალგაზრდობა გალესავს ნამდვილ იდეურ ხმალს თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ, განსაკუთრებით კი ე. წ. ახალგაზრდა მარქსისტების“ მიმართ, რომლებშიაც, როგორც მათი უმფროსს ამხანაგების ლვიძლ შვილებში, ასე ღრმად გაუდგამს ფესვები ცრუ მარქსისტობას და ოპორტიუნიზმს. ახალგაზრდა კომუნისტების სახით საქართველოს მშრომელ ხალხს უნდა მოევლინოს ნამდვილი მხსნელნი, რომელნიც გაპფანტავენ იმ ბურუსს, რომელშიაც ის გახვია მარქსიზმის მოღალატეებმა ისინი ეცდებიან დაუმტკიცონ მათ თუ რაგვარ გაბრწნამდის ჩამოაქვეითა ამ ხალხმა მარქსიზმი, თუ სანამდის შეუძლია ადამიანს დაეცეს, თუ რაგვარ მდგომარეობაში შეიძლება ჩაყენება სიმართლის. დ—ნი.

**დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი**